შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის

IIIᵃ კლასის

მასწავლებლის

ეკატერინე ხმალაძის

I სემესტრის სადამრიგებლო მუშაობის ანგარიში

2021-2022 სასწ.წ.

ჩემი სადამრიგებლო მუშაობა ემყარებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მიმართული იყო მოსწავლეების გონებრივი, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სადამრიგებლო საათი აყალიბებს და ქმნის მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს. თითოეული სადამრიგებლო საათის ბოლოს მოსწავლეებისგან ვიღებდი უკუკავშირს: რა გაიგეს, რა ისწავლეს, რა მოეწონათ და რა არ მოეწონათ. ეს მეხმარებოდა შემდგომი შეხვედრების მეტად ეფექტიანად დაგეგმვაში.

სასწავლო წელი დისტანციურ რეჟიმში დაიწყო. ორი კვირის შემდეგ სწავლა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა და სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში გაგრძელდა, სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით. ონლაინ სწავლებისათვის პლატფორმა „Zoom"-ი გამოვიყენე. გამომდინარე იქიდან, რომ გასულ წელს უკვე გვქონდა დისტანციური სწავლების გამოცდილება, შესაბამისად მოსწავლეები მარტივად ფლობდნენ ამ ტიპის სწავლების უნარებს.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ პროცესში მშობელთა ჩართულობა. ამისათვის შედგა მშობლებთან ონლაინ შეხვედრა. გავაცანი სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო გეგმა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, ავუხსენი მათ, რომ ეს წესები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დისციპლინისა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებას.

მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე ქცევის წესები და გამოვაკარი თვალსაჩინო ადგილას. გავაცანი მოსწავლის ქცევის კოდექსი.

ვცდილობდი მათ გაეთავისებინათ ცნება-თანაკლასელი, რათა თავიდანვე ამეცილებინა ურთიერთობისას კონფლიქტები. ხშირად ვუმეორებდი: „მოექეცი ისე სხვას, როგორც შენ გინდა მოგექცნენ".

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ პროცესში მოსწავლეთა უკუკავშირი. ბავშვები დავალებების განხილვისას იქვე ვაკეთებდი მათთვის გაუგებარი საკითხების ახსნა-განმარტებას.

თვეში ორჯერ ვატარებდი სადამრიგებლო საათს, რომელიც გათვლილი იყო მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებებზე:

- პიროვნული და მორალური განვითარება;
- გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
- მეწარმეობის უნარების განვითარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
- მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;
- თვალსაწიერის გაფართოება;

ამ მიმართულებებზე განვიხილე მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო თემები:

- მოსწავლის ქცევის კოდექსი ;
- საკლასო ქცევის წესები;
- მესამეკლასელის ვალდეულებები კლასში;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- ევაკუაციის გეგმა;
- რას ნიშნავს იყო მესამეკლასელი? ინტერესი, ჰობი;
- დღის რეჟიმი;
- როგორ გამოვიყენოთ ნაჩუქარი ფული?
- ნამდვილი მეგობარი;
- საკუთარი უფლებების დაცვა;
- საგზაო უსაფრთხოება;

პიროვნული და მორალური განვითარების მიზნით ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე:

,,მოსწავლის ქცევის კოდექსი ;კალენდარი; გრიფირებული სახელმძღვანელოები; საკლასო ქცევის წესები; მესამეკლასელის ვალდეულებები კლასში;“. დავსვი კითხვა – ,,რა ვალდებულებები აქვს მესამეკლასელს?″ გაიმართა დისკუსია. ბოლოს დაწერეს თხზულება ,,მე მესამეკლასელი,ჩემი ვალდებულებები″.

პიროვნული და მორალური განვითარების მიზნით, უსაფრთხოების და მორალურ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩავატარე სადამრიგებლო თემა : “ **ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; ევაკუაციის გეგმა.** “ დავსვი კითხვა – “რა წესები უნდა დავიცვათ ბიბლიოთეკაში? როდისაა საჭირო ევაკუაცია? როგორ უნდა მოვიქცეთ ევაკუაციის დროს?

პიროვნული და მორალური განვითარების მიზნით ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე: **,, რას ნიშნავს იყო მესამეკლასელი? ინტერესი. ჰობი .** “ დავსვი კითხვა – ,, რა შეიძლება იყოს მესამეკლასელის ინტერესი და ჰობი ?″ გაიმართა დისკუსია. ბოლოს დაწერეს თხზულება ,,ჩემი ჰობი″.

ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე **–„დღის რეჟიმი“.** თემის მიზანი იყო დროის რაციონალურად დაგეგმვის და გამოყენების უნარის განვითარება. მოსწავლეებმა ისაუბრეს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დროის სწორად დაგეგმვა და განაწილება. თაბახის ფურცელზე დაწერეს კვირის ერთი დღის რეჟიმი.

მიმართულებაზე – მეწარმეობის უნარების განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე **–„ როგორ გამოვიყენოთ ნაჩუქარი ფული“**. ბავშვებმა ისაუბრეს, თუ როგორ გამოიყენეს დაბადების დღეზე ნაჩუქარი ფული.

პიროვნული და მორალური განვითარების მიზნით ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე: **„ნამდვილი მეგობარი “.** დავსვი კითხვა – „ვინ არის ნამდვილი მეგობარი?" გაიმართა დისკუსია. კერძოდ, მათი აზრით, მეგობარია ის, ვისაც მეგობრისთვის სურს იგივე, რაც თავისთვის; ვინც დახმარების ხელს გაუწვდის გაჭირვებაში; ვისაც ახარებს მეგობრის წარმატება და ა.შ. ბოლოს დაწერეს თხზულება „ჩემი მეგობარი."

პიროვნული და მორალური განვითარების მიზნით ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე: – **„ საკუთარი უფლებების დაცვა “.** თემის მიზანი იყო ბავშვთა უფლებების კონვენციის ცოდნა და გამოყენება. გავაცანი „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, განვუმარტე – ეს დოკუმენტი აღიარებს, რომ ბავშვს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდება. დაწერეს – „ჩემი უფლებები.“

მიმართულებაზე – უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ–პატრიოტული ცნობიერება ჩავატარე სადამრიგებლო თემა : **„საგზაო უსაფრთხოება“.** ამ თემის მიზანია ბავშვებს განუვითარდეს საზოგადოებაში ქცევის წესები, კონფლიქტების მოგვარების უნარ– ჩვევები. ისაუბრეს , თუ როგორ უნდა დაიცვნ საგზაო წესები, გაიმართა დისკუსია, პროექტორით უყურეს ვიდეორგოლებს საგზაო უსაფრთხოების შესახებ. შეადგინეს ჯგუფურად საპრეზენტაციო ნამუშევრები ამ თემაზე.

წლევანდელ სასწავლო წელსაც განახლდა პროექტი – “მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში”, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. 1 სემესტრში ჩემს კლასში ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი შეხვედრა :

- 19 ნოემბერს 3 ა კლასს ეწვია ბარბარე წიქორაძის მშობელი – ირმა ჯავახიშვილი, რომელმაც მოსწავლეებს წარუდგინა თემა – “პროფესია პედაგოგი”. ქ–ნი ირმა გახლავთ ინგლისურ ენის პედაგოგი, მან ისაუბრა, რა მნიშვნელოვანია ინგლისური ენის სწავლა,და რა როლი აქვს პედაგოგს.მოსწავლეებმა ქ–ნ ირმასთან ერთად წაიკითხეს მოთხრობები და აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში.

- 7 დეკემბერს 3 ა კლასი სტუმრობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და მუზეუმს ამავე კლასის მოსწავლის – ლილე ჩიტისვილის მამის – გიორგი ჩიტიშვილის ინიციატივით.
- 10 დეკემბერს კლასს ეწვია ემილი ნაჭყებია დედა – ნათია ცაავა, რომელიც გახლავთ ჟურნალისტი და მან წარმოადგინა თემა – "პროფესია ჟურნალისტი" , აჩვენა თემასთან მიმართებაში საინტერესო ვიდეო–სლაიდები და ისაუბრა ამ პროფესიის მნიშვნელობასა და სირთულეებზე.

მეორე სემესტრში აქტიურად გავაგრძელებ ამ პროექტს.

მთელი პირველი სემესტრის განმავლობში პერიოდულად, როგორც 3 ა კლასის დამრიგებელი ვესწრებოდი ჩემი კლასის პედაგოგებს :

რუსული ენა – დიანა ნიკოლაევა ;

ინგლისური ენა – მარიამ ბრეგვაძე ;

მუსიკა – თეა კერესელიძე ;

სპორტი – თაკო ურდულაძე ;

ვაკვირდებოდი მითითებულ გაკვეთილებზე ბავშვების ცოდნას, გაკვეთილზე აქტიურობას, პრეზენტაციის უნარს, საჭიროების შემთხვევაში, თუ გამოიკვეთებოდარომელიმე მოსწავლესთან მიმართებაში პრობლემები, კომენტარის სახით ვაძლევდი მითითებებს პედაგოგს, მოსწავლეს და თუ ამის აუცილებლობა იქნებოდა მშობელსაც ვაყენებდი საქმის კურსში.

მეორე სემესტრშიც გავაგრძელებ მითითებულ გაკვეთილებზე დასწრებას.

ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით გავაკეთე პროექტი – „სახალისო ტრადიციები ჩემს ოჯახში". ბავშვებმა მოიძიეს იმ ტრადიციების შესახებ ინფორმაციები რომელიც განსაკუთრებულად სრულდება მათ ოჯახშო. გააკეთეს ნახატების კოლაჟი.

22 დეკემბერს ვიყავით ახმეტელის თეატრში სპექტაკლზე – „ყინულის დედოფალი.

II სემესტრში კვლავ გავაგრძელებ სადამრიგებლო საათის ფარგლებში თემების განხილვას იმ მიმართულებებზე, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემას, თანამშრომლობასა და თანადგომას.